№ 46

ოთხშაბათი, 2 მარტი 1894

1877—1894

# ივერია

№ 46

ოთხშაბათი, 2 მარტი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 4 მარტს

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 2 მარტს

—

ამ ექვსის წლის წინად დაკეტილი ქალთა საექიმო კურსები, როგორც სწერენ რუსულ გაზეთებში, მთავრობას განუზრახავს ხელახლავ აღადგინოს.

მას შემდეგ მრავალჯერ ატეხილა ლაპარაკი ამ საგანზედ, მაგრამ ვერაოდეს საფუძვლიანი რამ განაჩენი აქედან არ წარმომდგარა; ახლა-კი, როდესაც საზოგადო შეწირულობის წყალობით 700-ათას მანეთამდე მოგროვილა და მხოლოდ ნახევარი ამ თანხის-ღაა საჭირო სასწავლებლის გასაღებად, საიმედოა, რომ ქალთა საექიმო კურსებს მალე ეღირსება ქვეყანა.

ამას წინად სასჯულო საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ მთავრობას განათლებისათვის ფული ყოველთვის მოეპოვებაო, და აჰა ეს უაღრესი განათლებისა და ჯანმრთელობის საქმეც წარმომდგარა, და ელის განხორციელებას. მაგრამ მოსკოვის გაზეთი „Р. В.“ მინისტრის დაპირებაზედ როდი ამყარებს ქალთა საექიმო კურსების ბედს და ამბობს, რომ საზოგადოება იმ 330-ათას მანეთს, რომელიც საჭირია ამ საქმეს დასამთავრებლად, უთუოდ თითონაც შესძლებს იშოვნოსო. მართალია ეს ამბავი ძვირფასი არის საკუთრად რუსეთისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენც გვიდევს ცოტაოდენი წილი, რადგანაც ჩვენს მოსწავლე ახალ-გაზდობას ბევრად უფრო ეხერხება რუსეთში წასვლა განათლების მისაღებად, ვიდრე ევროპაში. თუმცა ევროპაში სწავლა-დამთავრებული მეცნიერი იქნება იგი, ექიმი, თუ სხვა რამ პროფესიის ადამიანი, არა ნაკლებად გამოადგება თავის ხალხს, მაგრამ ჩვენი მოსწავლე ახალ-გაზდობა მაინც რუსეთის ცივს ჰაერს არჩევს ევროპასა და მის საქართველოს მზგავს ბუნებას, ოღონდ-კი დიპლომი მიიღოს და ამით უფლება მოიპოვოს ცხოვრებაში.

ზემოხსენებულ დაბრკოლებას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენს სკოლებში და ოჯახებში ევროპიელი ენის სწავლება სრულიად არ არსებობს და უენოდ წასვლა მაღალის სწავლის მისაღებად არ არის მთლად ადვილი საქმე. ამას დიდი გამბედაობა და მხნეობა საჭირია და ეს ყველას რასაკვირველია არა აქვს.

ამიტომ ის იმედი, რომ რუსეთში მაინც შეეძლებათ ჩვენს ქალებს შეისწავლონ საექიმო ნაწილი და მით ემსახურონ ქვეყანას და გამოადგნენ თავის თავსაც, უეჭველია სიამოვნებით იქნება მიღებული. ხოლო შესახებ იმისა თუ რამოდენად საჭირო არის ამ გვარის კურსების დაარსება რუსეთისთვის, ამას ის გარემოება ჰმოწმობს, რომ უკანასკნელ ორსაექიმო კრებაზედ მოსკოვში, სადაც შეკრებილი იყო მთელის ქვეყნიდგან სამიათასამდე პროფესორი და ექიმი, ერთხმად აღიარეს ქალთა საექიმო კურსების უაღრესი საჭიროება. ექიმ ქალთა ნაკლებობა საგრძნობელი იყო, რასაკვირველია, განათლებულ საზოგადოებაში, მაგრამ ერთი ასად. უფრო საგრძნობელი იყო იგი სოფლის ხალხისთვის, სადაც უჭირისუფლოდ, უექიმოდ იხოცებიან ათასნი და ათიათასნი.

ახლა-კი მეცნიერთა კრებულმა განამტკიცა ეს საზოგადოდ აღიარებული საჭიროება ნასწავლ ქალთა და ამიერიდან მხოლოდ ის-ღაა სანატრელი, რომ მალე შესაძლებელი ყოფილიყოს ქალთა საექიმო კურსების დაარსება.

შესახებ იმისა, თუ რამდენად ნაყოფიერი უნდა იქმნეს საექიმო კურსები, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ თუმცა 600 ქალი, რომელთაც დაასრულეს სწავლა ამ სასწავლებელში გაიბნენ 120 მილიონ რუსეთის ხალხში, მაგრამ თვალსაჩინო ხაზი თავის სასარგებლო მოღვაწეობისა მაინც გაავლეს ამ ახალ მუშაკთა. ეს დამტკიცდა იმითაც, რომ მეცნიერთა და სწავლულთა კრებულმა, რომელზედაც სამი ათასამდე კაცი დაესწრო, აღნიშნა და მოითხოვა ქალთა საექიმო კურსების ხელახლავ აღდგენა. ამ გვარი ყურადღება, უეჭველია, კმარა თვით საქმის ღირსების დასაფასებლად. თუ საზოგადო შეწირულობამ დაიგვიანა და ნაკლისი ფულის ქალთა საექიმო კურსების რასაარსებლად, ისევ სასჯულო საქმეთა მინისტრი დაპირებისამებრ რომ „განათლებისთვის მთავრობას ფული ყოველთვის მოენახებაო“, უთუოდ მიაწვდენს ამ საჭირო 330 ათს მანეთს, და საქმეს ესოდენ ძვირფასს და ქვეყნისთვის სანატრელს, არ დააბრკოლებს.

W.

## ახალი ამბავი

—

*** 5 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია გაემგზავრება კახეთს და დარჩება იქ 9 აპრილამდე; გაარჩევს 43 სისხლის სამართლის საქმეს. თავმჯდომარედ სესიისა დანიშნულია წევრი ამავე სასამართლოსი ი. ა. ბრონიცკი ამავე სასამართლოს წევრის ე. ვ. ჩემესოვის თანაშემწეობით. მდივნებათ დანიშნულნი არიან ი. ი. ოვსიანნიკოვი, დ. ი. შატბეროვი და მ. ლ. ავალიანი.

*** ტფილისის მაზრის უფროსს თავ. ლ. ჯანდიერს წარუდგენია წარსულის წლის ანგარიში ტფილისის მაზრაში დაარსებულ სასოფლო პურის მაღაზიათა მდგომარეობისა და ფულის თანხისა. ამ ანგარიშიდამა სჩანს, რომ შარშან მთელს მაზრაში პურის მაღაზიები და ფული ჰქონიათ 45 საზოგადოებას, ანუ 125 სოფელს (სულ-კი ამ მაზრაში 51 საზოგადოებაა). ამ წლის პირველ იანვარს მარცვლად ამ სოფლებს ჰქონიათ ნაღდი 24,216 ფუთი და 30 გირვ., ვალად წაღებული 6041 ფ. და 30 გირვ. ფულად სახელმწიფო და საკომერციო ბანკებში შენახული სულ 75,375 მან. და 51 კაპ., ვალად გატანილი-კი—3771 მან. და 78 კაპ.

წარსულის წლის პირველ იანვარსკი ტფილისის მაზრას ჰქონია მარცვალი $38,748^{3}/_{4}$ ფ. ნაღდად, ფულადკი 51,357 მან. 99 კაპ. ამ გვარად ერთის წლის განმავლობაში ტფილისის მაზრის მცხოვრებთ შეუძენიათ ფულად 24017 მან. და 52 კაპ.

ზემოხსენებული მარცვალი და ფული ესეა განაწილებული: სართაჭალის მაზრის 33 სოფელს ჰქონია შარშან: მარცვალი ნაღდი 15,117 ფუთი, ვალად წაღებული-კი 2468 ფ. და 20 გირვანქა; ფულად 35,980 მან. 52 კაპ. ნაღდი და 1989 მან. და 25 კაპ. ვალი; მტკვრის მარჯვენა ნაპირის 83 სოფელს: მარცვალი 9099 ფუთი და 10 გირვ. ნაღდი, 3573 ფ. და 10 გირვ. სესხად წაღებული; ფულად 33,645 მან. და 40 კაპ. ნაღდი, 1759 მან. და 53 კაპ. სესხად წაღებული და ყარაიას მხარის 9 სოფელს მარცვალი ამ ჟამად სულ არა აქვს, ფულად-კი 5749 მან. და 59 კაპ. ნაღდი და 23 მან. ვალად.

*** თიანეთი: ახალი ამბავი აქ ისაა, რომ სოფ. „მატანში თ. ნიკოლოოზ ჩოლოყაშვილის მოსამსახურე ლეკს „ქათიბას“ მოუკლავს ხანჯლით მეორე მოსამსახურე იმერელი; როცა ეს კაცის-კვლა შეუტყვიათ სოფლელებსა და ლეკის დაჭერა მოუნდომებიათ, სახლს გარს შემორტყმიან და გასაქცევად არ გაუშვიათ ლეკი, მაშინ ის სხვენში აპარულა და იქ დამალულა, როცა ხალხმა ესეც შეიტყო და სხვენში დამალულის დასაჭერად ასვლა დააპირეს, ლეკმა ყელი გამოიჭრა და თავი მოიკლა.

სხვაფრივ მშვიდობიანობაა, ზამთარი მძიმე არ არის და ხალხშიაც ჯანმრთელობაა ერთობ. პურ-ძვირობამა და მოსავლის სიმცირემ კი მცხოვრებთა უმრავლესობა ძალიან შეაწუხა. თუმცა ამ ერთის თვის განმავლობაში ცუდი ამინდი იყო, მაგრამ თოვლი-კი დიდი არ მოსულა.

*** კიევი: ამ ჟამად აქ იმყოფება 20-მდე ქართველი მოსწავლე სხვადა-სხვა უმაღლესს სასწავლებლებში სახელდობრ: 16 — უნივერსიტეტის სტუდენტია და 4—სასულიერო აკადემიისა. უნივერსიტეტის სტუდენტები სამკურნალო ფაკულტეტზედაა— 14 (ალექსანდრე ბეთანიშვილი, სიმონ გოგიტიძე, ვალერიან დემიდაშვილი (დემიდოვი), ალექსანდრე პ. თუმანიშვილი, ალექსანდრე ა. თუმანიშვილი, ლეონ მეფისაშვილი, გიორგი ქორქაშვილი, ეპიფანე შენგელია, იაკობ ჩარექიშვილი, დავით წერეთელი, ვასილ წერეთელი, გიორგი ქო-

## ფელეტონი

—

### საბიბლიოგრაფიო წერილი

„მოამბე“—თვიური ჟურნალი, № II, თებერვალი 1894 წ.

მეორე ნომერი ჟურნალ „მოამბისა“ იწყება ბ-ნ შ. არაგვისპირელის მოთხრობით, რომელსაც ჰქვიან „და-ძმა“, და ჩვენც ამ მოთხრობიდამ დავიწყოთ დღევანდელი საუბარი.

მკითხველმი იცის, რომ შინაარსი ქართულის ბელეტრისტიკისა საზოგადოდ სოფლის ავ-კარგიანობაა, რომ სოფლის ცხოვრება აძლევს საზრდოსა და მასალას ყოველ საუკეთესო ავტორს ქართულის მოთხრობისას და რომ ყოველი სახელოვანი ქართველი მწერალი შესტრფის და შეჰხარის სოფელს, თავს დასტრიალებს მის გულის თქმას, თანაუგრძნობს მის მწუხარებას და სტკბება მისის სიამით. ასეთი ბედი ჩვენი სოფლისა აიხსნება მხოლოდ მითი, რომ დღემდე მაჯა ქართველთაა ცხოვრებისა თუ სცემს სადმე, ისევ სოფლად სცემს და ქართველი კაციც ჯერ კიდევ დიდხანს ნამდვილ ქართველად თავის თავს იგრძნობს ჩვენებურ სოფელში და მხოლოდ იქ ამოისუნთქავს თავისუფლად. ასეთი ძალა და მნიშვნელობა ქართულის სოფლისა იგრძნეს ჩვენის მწერლობის პირველმა პიონერებმა, ესევე ძალა და მნიშვნელობა სოფლისა შეიგნეს ახალმა მწერლებმაც.

„და-ძმა“ ბ-ნ არაგვისპირელისაც სოფლის ცხოვრებიდამ არის ამოღებული. გაგვითვალისწინეთ სოფლის გული და სული, შეგვატყობინეთ მისნი მისწრაფებანი, ჩაგვახედეთ მის ფსიხოლოგიაში, შეგვატყობინეთ მისი რწმენა, მისი ნუგეში, მისი ტკბილი და მწარე, მისი ღირსება და ნაკლი ისე, როგორადაც შეგვატყობინა ძლიერმა ნიჭმა დაუვიწყარის ალექსანდრე ყაზბეგისამ მთიელთა ავ-კარგიანობა, და მაშინ ერთი ათად გაგვიადვილდება ყოველს ჩვენგანს სიარული წარმატების ეკლიანს გზაზედ.

მკითხველს ეხსომება ბ-ნ არაგვისპირელის მოთხრობა „ადე, ჩამოვიდა!“, ამ ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილი. იქმნება ჩვენი შენიშვნაც ახსოვდეს ამ ეტიუდის შესახებ. ჩვენ ვამბობდით, რომ მოთხრობა ხელოვნურად არის აგებული, მაგრამ შიგ ქართველის ფსიხოლოგია არ არის გამოხატულიო და ამ მხრივ იგი ავტორის ფსიხოლოგიურს შეცდომას წარმოადგენსო. დღეს სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ახალი მოთხრობა ამავე ავტორისა „და-ძმა“ ბევრით მაღლა დგას მის ფსიხოლოგიურ ეტიუდზე. ამ მოთხრობაში ავტორს ეტყობა აშკარა ნიჭი სულის ვითარების გაგებისა და გრძნობათა ხელოვნურად დახატვისა, უნარი გულის პასუხის შეტყობასა და ვნებათა ღელვის უტყუვრად ამოკითხვისა. თუმცა «და-ძმაშიაც» შეგხვდებათ ზოგიერთი მოუხერხებლობა და ნამდვილის წინააღმდეგობა, მაგრამ საზოგადოდ ეს მოთხრობა საკმარისს საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ თავის დროზედ ჩვენი ახალგაზდა ავტორი სათანადოდ გაიკვლევს გზას და დახელოვნდება ქართველის ულრმეს გრძნობათა გაგებაში, და ეს ხომ უპირველესი საშუალებაა ჩვენის თვით-ცნობიერების გასაძლიერებლად. აი თვითონ ეს იმედი ნებას გვაძლევს ცოტა ხანგრძლივ შევაყენოთ მკითხველის ყურადღება ბ-ნ არაგვისპირელის ახალ მოთხრობაზედ.

**

სოფლის გლეხს ქიტუასა ჰყავს ორი ბავშვი, კატო და გიგლა, და მეორე ცოლი, ახალგაზდა, ლამაზი სოფიო. სოფიო ჩინებულს განწყობილებაშია თავის ქმართან და გერები ისე უყვარს, როგორც საკუთარი შვილები, მაგრამ მისდა საუბედუროდ, სოფიოს თვალს შეასწრობს სოფლის მწერალი ნიკო, ქიტუას შვილების მომნათვლელი, და ჩაუვარდება გულში ახალგაზდა ქალის სიყვარული. სოფიო ვერც-კი წარმოიდგენს, რომ შესაძლებელი იყოს რაიმე სხვა კავშირი, გარდა ნათესაურისა, თავის ნათლიმამასთან. ხოლო ნიკო ველარ მოერევა ვნებათა ღელვას და ერთხელ კიდეც გამოუცხადებს სიყვარულს სოფიოსა, რომელსაც თოფზედ უძლიერესად მოჰხვდება ასეთი გრძნობა ნათლიმამისა და ეტკინება გული. სოფიო მეტადრე ვერ წარმოიდგენდა,

ლოშვილი, ნიკოლოზ ხუნდაძე და გიორგი ჯორჯიკია); იურიდიულ ფაკულტეტზედაა—1 (პროკოპი ჩხენკელი) და ერთიც ფილოლოგიურ ფაკულტეტზედაა (შიო ჩიტაძე). სასულიერო აკადემიაში—4 (მელიტონ კელენჯერიძე, მელიტონ ჩოგოვაძე, ვასილ ყასაბიშვილი და ქრისტოფორე ჯიოშვილი).—წასრულს 1893 წ. დაამთავრეს აქ კურსი ორმა ქართველმა. ერთმა—მიხეილ ლორთქიფანიძემ დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტი და მეორემ—ილია ფერაძემ—სასულიერო აკადემია (ლიტერატურული განყოფილება).

*** ცხინვალი: აქაურის დილიჟნების პატრონები, ცოტა არ იყოს, პატივისცემით არ ეკიდებიან მიმსვლელ-მომსვლელთ. არ იქნა ერთნაირი ფასი ვერ დააწესეს. იციან როცა მუშტრის დროა და ყელში უჭერენ მგზავრებს. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის გახლავთ, რომ ცხენების მაგიერ კაცები უბიათ და ნახევარზედ მგზავრი ფეხით დადის.

*** ოზურგეთი: 24 თებერვალს საღამოზედ აქაურს სასულიერო სასწავლებელში გამართული იყო საღამო, რომელზედაც შეგირდები გალობდნენ, სიმღერას ამბობდნენ და კითხულობდნენ რუსულად და ქართულად ლექსებსა და პროზას. საზოგადოება ბლომად დაესწრო და დიდათაც ისიამოვნა შეგირდების მღერა-გალობითა და კითხვით.

*** კავკავი: ამ ჟამად აქაურ მაზრის სამმართველოში დიდი მოძრაობაა: მოუდისთ სხვა-და-სხვა სოფლებიდან ქურდობაში შენიშნულნი და ატუსაღებენ.

ამ თვის პირველ რიცხვებში ერთი გემნაზიაში მოსწავლე ყინულზედ სრიალობის დროს, წაიქცა, თავის კეფა დაჰკრა და გარდაიცვალა. ამბობენ, საბრალო დედის ერთა იყოვო. ამას წინად კიდევ ერთმა გასათხოვარმა ქალმა ფეხი მოიტეხა ყინულზედ სრიალის დროს. თებერვლის ორს კიდევ ერთმა გემნაზიელმა ყინულზედ სრიალის დროსვე, ფეხი მოიტეხა.

*** 28 თებერვალს მიხეილ ისარლოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ოლგას ქუჩაზე 20 თებერვალს მოსამსახურის ოთახიდამ 57 მანეთის ნივთეულობა მომპარესო.

*** ამავე დღეს ნიკოლოზ ენიკოლოფოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ მოსკოვის ქუჩაზე ცალიერს სახლებს 20 მანეთამდე ღირებული კარების სახელური და მასალები დაძრესო.

## პატიმარი

რა დავაშავე, ნეტავ რა?
ვგდივარ, ვით ღვთისგან წყეული,
აბჯარ ხყრილი სავსროდ
თავზედ ლაფ გადანთხეული;
ვით აკაზაკი მოსისხლე,
ბნელს საკანს გამომწყვდეული,
ვით მოღალატე ქვეყნისა
განშორებული ეული.
ერთს დროს ყველასთვის საამოტოლ-ამხანაგში რჩეული
დღეს რა ვარ? მწარედ მკვნესარი...
მალ-ღონე გამოლეული.

—

სამი დღე არის, დარაჯი
სულ აღარ მომკარებია,
უთუოდ ჩემი დანახვა
იმასაც შეჰზარებია,
ან და შემატყო სიკვდილი
და მისი შეშინებია.

—

სადა მყავს ჩემი გოგონა
მომაკვდავს, რომ არ დამფურებს,
საბრალო მოხუც მამასა
გულზე ცრემლს რომ არ მაპკურებს!...
სადა მყავს წმიდა მოძღვარი
ნაკურთხ წყალს რომ არ მასხურებს?..

—

ვაი, რა ძნელი ყოფილა
ჩამუს ახლილი მტერია,
აღარ დაგზოგავს ზირ-შავი
ერთხელვე თუ მოგერია.
თითქოს იმისთვის კანონი
ზეცას არ დაუწერია,
მართალი ხარ თუ შემცოდე
გაგსრესს, ვით ფეხთა მტვერია...
თვით იცხენს, სხვას-კი სულს ახდენს,
მისთვის ეს არაფერია!

—

მე არ მაშინებს სიკვდილი,
რადგან საეროო წესია:
მერე ჩემს დღეში მეოფისთვის
ათასჯერ უკეთესია...
ამ ფიქრით უფრო ვმხნევდები
სულთა მობრძავი მკვნესია;
რომ ჩემი შვილი მას მოჰკლავს,
რაც ჩემს ხელს დაუთესია!..

—

ეს კი ასეა, მაგრამ თვალს
მაინც სდის ცრემლი მდუღარე,
ხელ ფეხი მითრთის, ცივდება
სისხლი ძარღვებში მქუხარე...
თანდათან ტოკავს აუენებს
გული ნაკოდი მწუხარე.

—

ნუ შფოთავ სულო, დამშვიდდი,
ღმერთია მრავალ-მოწყალე;
იქ მოგცემს განსვენებასა,
რა კი ამ სოფლად ეწვალე...
სიცოცხლით მტრისა ბორკილი
ხელ-ფეხს რომ გედო მარადა,
ეხლა ხომ აგხსნის წყეული
რა-კი გიხილავს მკვდარადა...

—

ვიცი მომივლენ შვილები,
მკვდარს მაინც მიპატრონებენ,
არ დამფარავენ მტრის მიწით
თავს არვის დაუმონებენ...
ოდეს დახედვენ ამ თეთრს წვერს
ბევრს რასმე მოიგონებენ,
მამის მკვლელს პასუხს მოსთხოვენ,
სიცოცხლეს დაუღონებენ!..

განდეგილი

## კორესპონდენცია

**დ. ჩხარი**, 24 თებერვალი. ეს სამიოდე დღეა, რაც ჩვენსკენ ცამ პირი მოიწმინდა და მზემ გამოანათა. აქამდე-კი, მთელი კვირა ნახევარი, განუწყვეტლივ სთოვდა და ბლომა თოვლიც დასდო. სიცივე სასტიკად მძვინვარებდა; მან დაჰბადა ცნობილი ავადმყოფობა—ინფლუენცა, რომელიც უწყალოდ დაერია ხალხს და მთლად მუსრი გაავლო. ამ უკანასკნელს დღეებში ამ სენმა, ღვთის მადლით, რამდენადმე იკლო; წინა კვირაებში-კი ოჯახს ვერ დაასახელებდით, სადაც ინფლუენცა არა მდგარიყო. ხშირად ზოგიერთს ოჯახში ყველანი ერთად იყვნენ ავად. მღვდელნი ავადმყოფთა ზიარებას ვერ ასდიოდნენ და ზოგი უქირისუფლო ავადმყოფი უზიარებლად კვდებოდა. ამ საშინელებას დაუმატეთ ხალხის სიღატაკე და ნათლად წარმოგიდგებათ, რა ჯოჯოხეთის ცეცხლში იწვის საცოდავი ხალხი. საკუთარის მოსავლის სიმინდს დიდიხანია გამოეთხოვნენ აქაურნი და ღვთის ანაბარად დარჩნენ. დაუდგათ კარგი ამინდი ჩარჩებს. ამათ მოაქვთ გურიიდგან დიდძალი სიმინდი და ჩვენში ორკეც, ხშირად სამკეც ფასად ჰყიდიან. ფუთი სიმინდი 90 კაპ. ფასობს.

აქამდე ზემო-იმერლებს ერთი გარემოება კარგად უმართავდა ხელს, მაგრამ ახლა ისიც მოესპოთ. ეს გარემოება იყო ჭიათურიდგან ზესტაფონს ურმებით და ცხენებით შავის ქვის ზიდვა და მით ფულის შოვნა; ახლა-კი ამ გვარი ზიდვა შავის ქვისა საჭირო აღარ არის: ჭია-თურა უკვე შეუერთეს ზესტაფონს რკინის გზით. რითღა ისაზრდოოს და იცხოვროს მშიერმა და გაჭირვებულმა ხალხმა? უბედურნი, რაც რამ აბადიათ ოჯახში: ქათამი, ბატი, ინდაური, კვერცხი, მატყლი, ხილი და სხვ; მოარბენინებენ ჩხარში, ჰყიდიან აქ თავიანთს უკანასკნელს საქონელს ნახევარ ფასად და ჰყიდულობენ აღებულის ფულით სიმინდს და საჭირო წამლებს. მაგრამ ყველას ხომ არა აქვს შეძლება ამ გვარად ფულის შოვნისა, და ან ყოველთვის ხომ ვერ შესძლებენ ამნაირ ჯახირით ლუკმა პურის ჭამას!

ამ გარემოებას მთავრობამ მიაქცია ყურადღება და ხელი გაოუწვდინა ხალხს დასახმარებლად, მაგრამ უმეცარმა ხალხმა უკუ-აგდო ეს დახმარება. 18 თებერვალს ჩხარის სასოფლო სასამართლოში მაზრის უფროსის თანაშემწემ მოახდინა ყრილობა ჩხარის სამამასახლისოსი და ურჩია ხალხს ოღონდ ყველანი დასთანხმდით, ხელი მოაწერეთ და მთავრობა ფულს გასესხებთო სიმინდის სასყიდლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთმანეთის თავ-მდებნი იყვნეთ: იმათ ნაცვლად, რომელნიც, სიღატაკის გამო, ვერ შეიძლებენ მთავრობას ვალი გადუხადონ შეძლებულებმა გადიხადონო. ამ წინადადებამ დიდი ალიაქოთი და უკმაყოფილება გამოიწვია კრების უმრავლესობის მხრივ; თანხმობა განაცხადეს მხოლოდ იმათ, რომელთაც არ ჰქონდათ იმედი ვალის გადახდისა. ხალხში, ცოტა გაწყდა, ჩხუბი მოხდა; ყვირილსა და აურ-ზაურში ხშირად მოჰკრავდით ყურს შემდეგს სიტყვებს: ნეტაი დედა ჩემ, თუ მე ფული ვიხადე და შენ მუცელი იძღე! აპა, ბიჭო! მაგჰკუაზე ვარ!-“ ყრილობა უნაყოფოდ დაიშალა.

გარდა ამისა ჩხარში ამასწინად აპირებდნენ დაარსებას სასოფლო ბანკისას, სადაც თვითეულს წევრს შეძლებისამებრ უნდა შეეტანა ფული, რათა ამ ბანკს დახმარება გაეწია სოფლისთვის გაჭირვების დროს, მაგრამ არც ეს ინება ხალხმა.

ამ გვარად ერთმანეთისადმი თანაგრძნობას აქაური ხალხი ისევ ტანჯვაში ყოფნას ამჯობინებს. ავადმყოფნი ბედ-იღბალზე არიან მიგდებულნი; თუ ალალბედზე განიკურნებიან თორემ არავინ ექიმის დაყენებას არ დასდევს, არავინ წამალს არ ასმევს: ექიმს და წამალს ფული უნდა, ხალხს-კი მჭადისათვისაც არა აქვს ფული.

სევერიან ჯუღელი

**ქ. სიღნაღი**, 21 თებერვალი. კარგა ხანია, რაც სიღნაღის დეპუტატებს გამოცვლას უპირებენ, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხეს რომ ან ახლები ამოირჩიონ და ან ძველები დასტოვონ ისევ. მიზეზი ის გახლავთ, რომ სიღნაღი ორ დასად არის გაყოფილი. ჭოტორ-მაღარო-ნუკრიანს უნდათ რომ, ერთი დეპუტატი მათის მხრითაც იყოს ამორჩეული. სიღნაღის ქვემო უბანს-კი ორივე დეპუტატი თავიანთ შორის უნდათ იყოლიონ. ორივე დასი ერთმანეთს ეჯიბრება და კრებას საკმაო ხალხი არ ესწრება. 16 თებერვალს-კი რის ვაივაგლახით შეჰკრიბა პოლიციამ სურბკარაპეტის ეკკლესიის გალავანში ხალხი. მაზრის უფროსმა გამოუცხადა ხალხს, დაასახელეთ ვინცა გსურთ და ისინი ამოარჩიეთო. დაიფიცეს ხალხი, სომეხი სომხის და ქართველები ქართველთ ეკკლესიაში. დაფიცების შემდეგ გაიმართა დას-დასობა, ქალაქის ზემო უბანს უნდოდა თავის პატრონ-მომვლელად თავისივე მოძმე, ქვემო უბანს—თავისი. დაასახელეს ქვემო უბნიდან ორი კანდიდატი, ზემო უბანმა ასტეხა ერთი ხრიამული, „არ გვინდა, არ გვინდა და არა“. თუ ესენი არ გინდათ, წამოაყენეთ თქვენი კანდიდატიცაო. დაფაცურდნენ ზემო უბნელები. 4600 სულზე მეტი ქართველობა სცხოვრობს ქ. სიღნაღში და ამოდენა ხალხში ერთი კაციც არ აღმოჩნდა იმისთანა განვითარებული და ანგარიშის მცოდნე, რომ თავიანთ წინამძღოლად ამოერჩიათ. ბევრი ძებნის შემდეგ და შემდეგ ბევრის ყაყანისა ამოირჩიეს ასის „თავები“ ხუთმეტიოდე კაცი და იმათ მიანდეს თავის ბედ-იღბალი, დეპუტატების ამორჩევაც. ქვემო უბანმა-კი სამოცზე მეტი კაცი ამოირჩია ასის თავებად. ეხლა ამ ასიოდე კაცმა უნდა ამოირჩიოს სიღნაღის მომავალი დეპუტატები.

ჩვენსკენ გახშირებული ხვეტა-მჭა-

---

რომ ნათლიმამა გასაუპატიურებლადაც-კი არ დაინდობდა მას. თუ რამდენად ეს გარემოება ერთიან გადაატრიალებს ჩარხს სოფიოს სულიერის ცხოვრებისას და გამოიწვევს სიცოცხლისკენ მის მიძინებულ გრძნობას, ამის საჩვენებლად ჩვენ მივმართავთ შემწეობას ავტორის ხელოვნებისას.

„თითქმის ექვსი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ნიკომ გაუპატიურება დაუპირა. ამ დღეს ქიტუა ჩვეულებრივ საღამოთი ჩეკით შემოვიდა სახლში და რამდენი(სა)მე ფიცრისაგინ შეკრულ ტახტზედ ქალამნების გახდა დაიწყო. სოფიო იმის პირდაპირ იდგა და გატაცებით უცქეროდა იმის მეტის-მეტ ჯაფისაგან ჩამომხმარ სახეს. ქიტუას ცქერაში იმას უეცრივ დაეხატა ნიკოს სიცოცხლით გაღაღადებული სახეც. „არ გებრალები განა?!..“ მოესმა ეს სიტყვებიც (ნიკოსი).

„—ქიტო, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე!.. მივარდა სოფიო უეცრივ ქიტუას და კისერზედ მოეხვია.—ქიტო, მიყვარხარ, მიყვარხარ!.. ეხვეოდა ის და გატაცებით ჰკოცნიდა.

„ქიტუასაც რომ სამაგიეროდ ხვევნა და კოცნა დაეწყო, იმასაც რომ ალერსით გულში ჩაეკრა, იქნება სოფიოს ყველაფერი ეამბნა (ნიკოს საქციელი) შეხვეწნოდა, რომ ეშველ(ნ)ა რამ, მაგრამ ქიტუა ვერ მიხვდა ამასა და, როცა კისრიდან ძალით მოიშორა სოფიო, უთხრა:

„—კარგია, მამიშენის ცხონებას, რა დროს ეგეებია! ერთი დროით დამიგე რამ, რომ დავეგდო. დილაზედ ადრე მინდა ავდგე, თორემ გუთანზედ დამიგვიანდება.

„სოფიო რამდენსამე ხანს ერთს ადგილს გატვრინული და გამშრალი იდგა. „აბა ნიკოს მოხვევნოდი, როგორ გულში ჩაგიკრავდა!“ ჩასძახა უცნაურმა ხმამ, როცა ის გაშტერებით ქიტუას უმზერდა. (გვერ. 52).

ამ ხნის განმავლობაში ნიკოც ვეღარა ჰბედავდა სოფიოსთან მოსვლას, მაგრამ გულმა ვეღარ მოუთმინა და აწერილ ამბის მეორე დღეს გამოსწია სოფიოსკენ. სოფიომ ის-კი იყო სახლის დასაგველად ცოცხი აიღო ხელში.

„რომ ამ დროს გარედგან ხველა შემოესმა. „ისაა!“ წამოიძახა სოფიომ და ცოცხი ხელიდან გავარდა. გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა, ფერი შეეცვალა და სუნთქვა შეუდგა. ის თვალს არ აშორებდა კარებს და უსიტყვოდ გაიძახოდა: „აი, საცაა შემოვა!“, მაგრამ კარებში არავინ შემოვიდა. ამის მაგივრად კიდევ შემოესმა ხველა. „რაღას აწვალებს და აღარ შემოვა!“—წამოიძახა სოფიომ. ცოტა ხანს კიდევ იდგა ისე და მერე რაცრაცით კარებისკენ წავიდა.

„—დილა მშვიდობისა, ნათლიდედ!—მოწიწებით შემოსძახა დერეფნიდან ნიკომ.

„სოფიომ სამაგიერო ვერა უთხრა-რა. იმან მარტო შეხედა და ამ შეხედვით ყველაფერი აგრძნობინა ნიკოს. ამან ამოიკითხა სოფიოს თვალებში, რასაც სულ არ მოელოდდა. ამისთვის ის აჩქარებით შემოვარდა სახლში და სოფიოს მივარდა.

„—მაშ არ მიწყრები?.. არ მიწყრები?.. ჰა?.. ჩემო.. ჩემო... მოჰხვია იმან მკლავები და ლაფანივით მოშვებული და თითქმის გონება-მიხდილი სოფიო აღგზნებით ჩაიკრა გულში...“ (გვ. 55—56).

მერე?.. მაგრამ რაღა მერე. სოფიოს ღ ნიკოს გაუტკბათ ერთმანეთი და, რომ უფრო აღვილად ატყუონ ქიტუა, განიზრახეს გერების მოშორება თავიდგან. ამ აზრით სოფიომ დაუწყო უდიერი ჩაგვრა კატოსა და გიგლას, ვიდრე ქიტუამ უბედური ბალღები არ ჩამოიყვანა ტფილისში და არ დააყენა იგინი—ქალი ვიღაც უცნობ საეჭვო დედაკაცთან და ბიჭი მედუქნესთან. მაგრამ დაბრუნდა თუ არა სახლში, შუაღამისას მიასწრო ნიკოს თავის ცოლთან და იქვე გაუქრო სიცოცხლე ნათელ-მირონობის გამტეხ მეტოქეს.

**

უმთავრესი ძაფი მოთხრობისა ისეა გატარებული, რომ მკითხველს დაუჯერებლად არა ეჩვენება-რა, მაგრამ თითო-ოროლა მეორე ხარისხოვანი გარემოება აშკარადა ჰღალატობს მოთხრობას და კიდევაც ავნებს მას. თვით ავტორიც მიჰხვდებოდა ამ ღალატს, რომ არ აჩქარებულიყო და ან ეფექტის გულისთვის არ გამოსდგომოდა იმ სურათს, როდესაც საცოდავი ბალღები—კატო და გიგლო—გაექცნენ დედინაცვლის უდიერობას და დაიმალნენ ღამით საბძელში, რომელიც კარგა მოშორებით არის სოფელზედ და დგა ტყის პირას, სადაც გარშემო მგლები ღმუიან და ტურები ყმუიან შიმშილისაგან. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სურათი, თავის-თავად და ცალკე აღებული, მეტის-მეტის ხელოვნებით არის დახატული და ჰმოწმობს ავტორის ნიჭის შესამჩნევ ძალს, მაგრამ ამ მოთხრობაში-კი უხერხულად არის შეტანილი. ჩვენი ავტორი ვერც ერთს ქართველ მკითხველს ვერ დააჯერებს, რომ დედინაცვლისაგან გამწარებული ბალღები ღამით ტყეს ეცემოდნენ და არ მიჰმართავდნენ იმოდენა სოფლის მრავალ მეზობლებს, რომელნიც, უეჭველია, მამის მოსვლამდე მაინც უპატრონებდნენ უბედურებს. მაგრამ ავტორი გაიტაცა ძრიელმა სურათმა ბალღების უბედურებისამ და ჩაავლებინა ხელი დაუჯერებელ ამბისათვის. ჩვენის აზრით, ავტორი, ნაცვლად ასეთის ამბისა, ცოტა რომ უფრო ხანგრძლივ გაჩერებულიყო სოფიოს გულის თქმაზედ, ვიდრე ეს

66 ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაა და უფრო ხნიერ ხალხს ავლებს მუსრს. ტაროსიც ძრიელ ცუდია: თოვლ-ჭყაპი, და ჯანყ-ბურუსი თავს არ გვანებებს.

ერთი საათფთიაქო წამლების საწყობიც მოემატა სიღნაღს, მაგრამ რას გვარგია იაფი წამლები, თუ-კი ფერშლები აფთიაქს არ გასცილდებიან.

ქართველი

## რუსეთი

სიმფეროპოლიდგან აუწყებენ რუსეთის გაზეთებს, რომ შავს ზღვაზედ თებერვლის დამლევს ორი დღე დიდი ღელვა-ფრთონა იყო, დაიღუპა ხორბლით დატვირთული იალქნებიანი გემი. მეზღვაოსნენი ძლივს გადარჩნენ. ამ ორმოცის წლის განმავლობაში შავს ზღვაზედ წრევანდელისთანა ღელვა არა ყოფილა და იმდენი გემ-ხომალდი არასოდეს დაღუპულა, რამდენიც წრეულს იღუპებაო.

—

რამდენსამე მამულის პატრონსა და ღვინის ვაჭარს პეტერბურგისას შეუდგენიათ პროექტი „რუსთა ღვინის დაყენებისა და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოების" წესდებისა. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს ხელი წარუმართოს წესიერს განვითარებას მევენახობასა, ღვინის დაყენებისა და ვაჭრობის საქმისას. საზოგადოებას განსაკუთრებული ბიურო და საქიმიო ლაბარატორია ექმნება წიგნთ-საცავითურთ, რადგან საზოგადოებას სურს ბრძოლა გაუწიოს ღვინის სიყალბეს. ამ დღეებში ეს პროექტი წარედგინება სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების მინისტრს.

—

ციმბირის ჭირი ძალიან ჰხოცავს და ჰჟლეტს საქონელს. მთავრობა სცდილობს რამდენიმე ღონისძიება იხმაროს ამ ჭირის წინააღმდეგ. ამას წინად შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნიებისა და ოლქების უფროსებს გაუგზავნა საყოველთაო ბრძანება, რომელშიაც ურჩევს, რომ აუცრან საქონელს ეს ჭირი. ყაზანისა და ხარკოვის საბეითალო ინსტიტუტების დირექტორებს ლანგესა და რაევსკის უკვე აუღიათ ამ ჭირის ჩირქი, რომელიც იცავს საქონელს ციმბირის ჭირით ავად გახდომისაგან, თუ აეცრა.

—

სასჯულო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში ახალი პროექტი შეაქვს დასამტკიცებლად ნადირობის წესდებისა, რადგან, როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, აწინდელი კანონი ნადირობის შესახებ, 1891 წელს გამოცემული, ნაკლულევანებით არის სავსეო.

## ბიბლიოგრაფია

Камиллъ Фламаріонъ. Конецъ Міра. Изд. А. С. Суворина.

როდესაც სამეცნიერო ჭეშმარიტებანი ლამაზის, სადა მოთხრობის კილოთია დაწერილი, ხალხი ადვილად ითვისებს, და უმთავრესი ღირსება ასეთ წიგნების მწერალთა ის არის, რომ ისინი სამეცნიერო ჭეშმარიტებათა ცოდნას ავრცელებენ. კამილ ფლამარიონის «დასასრული ქვეყნისა» სწორედ ამ გვარ წიგნთა რიცხვს ეკუთვნის. აი მოკლედ მისი შინაარსი:

წიგნში მოთხრობილია ამბავი მე-XXV საუკუნისა. მეცნიერთა დასს ერთი ახალი, გასაოცარი რამ აღმოუჩენია. ერთს ვარსკვლავთა გუნდში ახალი, ცთომილი ვარსკვლავი გამოუნახავთ. რამდენსამე მეცნიერს გამოუკვლევია, რომ ეს ცთომილი ვარსკვლავი პირდაპირ დედამიწას უახლოვდება საშინელის სისწრაფით და ზედ უნდა დაეტაკოსო. ქვეყნის მცხოვრებნი შიშითა და ძრწოლით ადევნებენ თვალ-ყურს ყოველს ნაბიჯს ამ ვარსკვლავის მოძრაობისას. აკადემიის კრებაზედ ბაასია იმის შესახებვე და გამოირკვევა, რომ ცთომილი ვარსკვლავი ნახშირ-მჟავის სიმჟავისაგან შესდგება და დედამიწასაც რომ ასცდეს და გვერდზედ გაუაროს, მოსწამლავს მთელს ქვეყანასაო. ადამიანიშვილნი გონებასა ჰკარგავენ შიშით. საქმისათვის ველარავის მოუკიდნია ხელი, დუმილი გამეფებულა ყველგან, მხოლოდ რამდენიმენი დადიან უგზო-უკვლოდ, თვალებ-მიმქრალნი, შეძრწუნებულნი. ამას ზედ ისიც ერთვის, რომ მასზედ მოსახლენი იქიდგან სურათს აჩვენებენ დედამიწაზედ მცხოვრებზედ. სურათზედ იტალიაა დახატული და ოთხ-კუთხივ ისარი, მისკენ მიმართული. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ „დაანებეთ მაგ ქვეყანას თავი, წადით სადმეო".

თუმცა ეს წინასწარმეტყველება ტყუილი არ არის, მაგრამ ქვეყანას დაღუპვა მაინც არ მოელის. ცთომილი ვარსკვლავი დაეტაკება დედამიწას სწორედ იმ დღესა და საათს, რა დღეც მეცნიერებსა ჰქონდათ აღნიშნული, აფეთქდება რამდენიმე ლითონის ნამტვრევი, რომს ახლო დაცემული. ჰაერი მშრალდება, საშინელი ქუხილია, ცას ცეცხლი ეკიდება და შიშით დიდ ძალი ხალხი იხოცება. სხვა არაფერი. მეორე დღეს დედამიწაზედ ისევ უწინდელი რიგი და წესი დგება.

ქვეყნის დასასრული ავტორს თავისის მოთხრობის მეორე ნაწილში აქვს მოთხრობილი. იგი დგება ბევრის მილიონ წლის შემდეგ, როდესაც მზე და დედამიწა თანდათან, ნელ-ნელა ცივდება. ორი უკანასკნელი წარმომადგენელი ხორციელ ადამიანისა ნელ-ნელა იხოცებიან ერთად გადახვეულნი ეკვატორს ახლო, სადაც გადახიზნულან იმათი მამა-პაპანი და გაჰქცევიან სიცივესა და სიმშილს. ამ ორის ადამიანის სიკვდილით ცხოვრება სწყდება დედამიწაზედ და ერთი უშველებელი სასაფლაო-ღა რჩება, სიცივითა და ყინულით შეკრული. შემდეგ მოთხრობილია სრულიად ჩაქრობა მზისა და სიკვდილი დედამიწისა. იგი იბადება წყვდიადში, რომელსაც არც დასასრული აქვს და არც საზღვარი.

გადის ბილიონი წელიწადები, უსიცოცხლო პლანეტები ცთომილნი ვარსკვლავნი თანდათან ნელ-ნელა იწყებენ ბრუნვასა და ტრიალს, ჰლამის შეუერთდნენ კიდეც ერთმანეთს, რომ უცბად უსაზღვრო და უცნობ სივრციდგან მოჰქრის საშინელის სისწრაფით უშველებელი შავი სხეული და ისე ძლიერად დაეტაკება მზეს, რომ თითონ ისიც, მზეც და ცთომილი ვარსკვლავებიც აფეთქდებიან, აინთებიან, დადნებიან და ორთქლი ასდით. იწყება ახალი ხანა, ხანა ქვეყნის განახლებისა, აღდგენისა, გამობრუნებისა და ცხოვრებისა სხვა-დასხვა სახით.

აი ეს არის შინაარსი მოთხრობისა. სურათები ლამაზის ენით და ნიჭიერად არის აწერილი და ატყვევებს გონებას ადამიანისას.

—

ლეიპციგში ამას წინად დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო წიგნი ცნობილის პროფესორის ბუხნერისა შემდეგის სათაურით: „Darvinismus und Socialismus oder der Kampf um's Dasein in der modernen Pesellschaft". ნიჭიერი პროფესორი ამ წიგნში უმთავრესს ყურადღებას აწინდელს სოციალურს ბრძოლას მიაქცევს. იგი ამბობს, რომ ხალხის არსებობა საშინლად გაჭირვებულია, თუმცა-კი სოციალიზმს არ ემხრობა. იგი უფრო ჯორჯისა და იმის გერმანელ მიმდევართა აზრისაა. იმის აზრით, ეს სოციალური გაჭირვება იმ დრომდე არ იქნება აცილებული თავიდგან, ვიდრე დედამიწა სრულიად არ გადავა სახელმწიფოს ხელში და დიდ ძალის მამული ორიოდე კაცის ხელში ყოფნას არ მოელება ბოლო, მეორე—უნდა გაუქმდეს მემკვიდრეობითი უფლება და დაზღვევა ყოველის კაცისა უბედურ შემთხვევათაგან სავალდებულო არ იქნებაო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

საზღვარ-გარეთის გაზეთები სწერენ, რომ დიდ მებატონეთა ადგილ-მამულს გერმანიაში 75 $^0/_0$ ვალი აწევს, ხოლო გლეხთა მამულს 50 $^0/_0$, იმიტომ—რომ გლეხნი თითონ ჰმუშაობენ თავიანთ მიწაზედაო.

—

ნიუ-იორკში შესდგომიან ოც და-რვა სართულიან სახლის აგებას. სახლი სიმაღლით ორმოც-და-ათის საჟენისა იქნება, სიგანით 12 საჟენამდე. ამ შენობაში 728 ოთახი იქნება ერთს რიგზედ გამწკრივებული და ფანჯრები მხოლოდ ქუჩის მხარეს ექნება. შენობის შუა ორი რკინის კიბე აქვს დატანებული იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ორთქლის ასაწევ-დასაწევი მანქანები წახდა. სასტუმრო სახლს შუშისა აქვს და ძალიან ანათებს უშველებელს ტალანს. საინტერესოა, როგორ დაიწყეს ამ სახლის შენება. სამირკველი რკინისა პირდაპირ დედამიწაზედ არის დადებული, ამ რკინაზედ აგურები დაწყობილი და აღმშენებელს მხოლოდ თვალ-ყური უდევნებია, რომ სიმძიმეს თანაბრად ემატნა და სამირკველი მიწაში ჩაეწია.

—

ერთი გერმანული გაზეთი ამბობს, რომ კრონსბურგის საავადმყოფოში ერთი ჯარის-კაცი წევს, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, გული მარჯვენა მხარესა აქვს, ღვიძლი მარცხენა მხარეს, ელენთა მარჯვენა მხარეს. ეს ჯარის-კაცი საზოგადოდ ძალიან ჯან-საღია, მხოლოდ გაციებულა და იმიტომ დაწოლილა საავადმყოფოში.

## გასართობი

—

მეცში ვიღამაც უთხრა საფრანგეთის გენერალს, პრუსიის ჯაშუშები ყველგან დახეტიალობენ და ძალიან ფრთხილად უნდა იყვნეთ, თქვენის ომის გეგმა არ გაგიგონო.

— ჩვენი გეგმა! სიცილით უთხრა გენერალმა: თუ იმათ ეს გაიგეს, დიდი ეშმაკები ყოფილან, რადგან ჩვენც არ ვიცით, როგორ ვიბრძოლებთ.

**

ერთი ქალი ავად შეიქმნა და მკურნალი მოიპატიჟა, რომელიც მაშინვე იახლა. ამ ქალს, გარდა დროებით სენისა, სხვა მუდმივი სენიცა სჭირდა—წრეს გადასული ყბედობა და ენის ლაქლაქი, მეტადრე როცა თავის შესახებ დაიწყებდა ლაპარაკს. ეხლაც მანამ მკურნალი წამალსა სწერდა, ამ ქალის ყბედობას გულ-გრილად უგდებდა ყურს, შემდეგში დარიგება უნდა მიეცა, მაგრამ ველარ ეღირსა ამის გაჩუმებას. ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა დრო როცა ავადმყოფმა, დაღალულმა ლაპარაკით, ერთს წუთს სული მოითქვა.

— მაჩვენეთ ენა! საჩქაროდ უთხრა მკურნალმა და ორი თითით მაგრა დაუჭირა გამოყოფილი ენა და მიატანა; ათ-ათი წვეთი მიიღეთ წყალში გახსნილი დღეში სამჯერ.

შემდეგ წამოავლო საჩქაროდ ქუდს ხელი და გაექცა თავის მეორედ აყბედებულს ავადმყოფს.

**

ისპანიაში ერთ ელჩს ლუი XIII-საგან გაგზავნილს დააკისრეს ისპანიელებმა, რომ უთუოდ განსაკუთრებითი პატივი ეცა მეფისთვის, მაგრამ ის უარზედ იყო, რადგან ამისთანა მოქცევა არ ეთანახმებოდა ლუის ბრძანებას. ისპანიის მეფემ ამის გამო მოისურვა ეს ელჩი შეერცხვინა და ხმა მაღლა უთხრა:

— განა საფრანგეთის მეფეს სხვა ელჩი არა ჰყავდა, რომ ჩემთან გამოეგზავნა?

— მეფეო, მოახსენა ელჩმა, რა ეჭვია რომ ჩემს მეუფეს ჩემზედ ჭკვიანი მრავალი ახლავს, რომელთაც როგორც სურს ისე იმსახურებს, მაგრამ ასე ბრძანა: ელჩი მეფის შესაფერი უნდა იყოსო და მე თქვენთან გამომგზავნა.

## გამოსადეგი ცნობა

—

ღრუბლის გარეცხვა. ღრუბლის სუფთად შენახვა ერთი მოთხოვნილებათაგანია ჰიგიენისა. აი უბრალო საშუალება ღრუბლის გასარეცხად: ღრმა ჯამში ჩასდეთ ჭუჭყიანი ღრუბელი და დააწურეთ ზედ ერთის ლიმონის წვენი,

---

ღირსეული ქალი შეურიგდებოდა ქმრის ღალატს, ნათლი-მამის შეყვარებას და საყვარელ გერების უდიერად ჩაგვრას, ვიდრე ამ მდგომარეობას სულისასა და გულისას მოერეოდა, მაშინ ეს მოთხრობა ბევრით უფრო სრული, მთლიანი და ღირსებიანი იქნებოდა.

ამასთანავე არ შეგვიძლიან არ ამოვწეროთ ახალგაზდა ავტორის დაბერებული რეზონერობა საზოგადოდ ცოლ-ქმრობის შესახებ. იგი ამბობს:

„ტყუილად დაიკვეხებს ქმარი—ჩემ ცოლს ჩემ ნებაზედ გავატარებო. თუ ცოლმა დაიჟინა რამ, ისევ სჯობია, მაშინვე შეუსრულოს და წინააღმდეგობა არ გაუწიოს, თორემ ვერას გახდება. იმდენს იზამს, ისეთანა საშუალებებს მიჰმართავს, რომ კაცს გააკვირვებს და ასე თავისას მაინც გაიყვანს. მიღებულია ის აზრი, თუმცა კი სულ უსაფუძვლოდ, ვითომ ქმარი თავია და ცოლი კი კუდი (?), მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ: ცოლს ქმრის ცხვირი უჭირავს და საითაც უნდა, იქით აქნევინებს პირს" (!?) (გვერ. 56—57).

ასეთი შეხედულობა დღეს საჩოთიროდ მიაჩნიათ არა თუ ახალგაზდებს, არამედ მოხუცებულებსაც, და ცოლ-ქმრობის აბუჩად აგდება შეადგენს საგანს უმარილო მახვილობისას მხოლოდ სამასხარო სურათებიან ჟურნალ-გაზეთებისას, რომელთა ფეხის ხმას არ უნდა აჰყვეს არც ერთი მწერალი, ვინც თავის თავს პატივსა სცემს და ვისაც ჰსურს თავისი კალამი ქვეყნის გულწრფელ სამსახურს მოანდომოს. ჩვენ ამ უკანასკნელთა რიცხვში მიგვაჩნია ბ-ნი არაგვისპირელი და ამიტომაც ვისურვებთ, რომ შემდეგში უფრო და უფრო უკეთესი ნაწერები მიაწოდოს სამშობლო სიტყვიერებას, ნაკლებ აუქციოს გზა სინამდვილეს ქართველ კაცის სულთასა და გულის ვითარებისას და ყური არ ათხოვოს სამასხარო ორგანოთა უკბილო მიდებ-მოდებას.

**

ამავ მეორე ნომერში დაბეჭდილია, სხვათა შორის, ახალი ლექსი ბ-ნ ილია ჭავჭავაძისა «კითხვა-პასუხი». რადგან ეს ლექსი ეკუთვნის რედაქტორს ჩვენის გაზეთისას, ამიტომ მისი დაფასება მიგვინდვია სხვისთვის. მაგრამ რაკი ამ ავტორს დიდი ხანია აღარ დაუწერია ლექსი, ამიტომ იმედი გვაქვს მკითხველი არ დაგვემდურება, რომ მთლიანად ამოვბეჭდოთ ხსენებული ლექსი. თანაც ამ ლექსით მკითხველს საშუალება მიეცემა, რომ სიგძე-სიგანით გაზომოს უშველებელი ძალა «კვალის» კრიტიკოსისა, რომელიც აუწყებს ქვეყანას, რომ ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ გაუშვა ხელი ქართველთა მაჯას „გლახა ჭრიაშვილის" დაწერის შემდეგო. ამ ლექსის წაკითხვამ იქნება მკითხველი იმ აზრზედაც დააყენოს, რომ ქართველთა მაჯა ბ-ნ ილია ჭავჭავაძეს დაულოცნია და გარდაუცია საკვირველ კრიტიკოსისთვის ბ-ნ მაზაკვალისთვის. აი ეს ლექსი სიტყვა სიტყვით:

კითხვა

გარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმულო;
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.
გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს,
გისმენ და სმენით ყური ვერ ჰძღება;
მაგრამ რამდენად საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.
რა დაგრჩენია კვლავ სანატრელი?
ღვთისგან რა არ გაქვს მომადლებული?
მაგრამ რამდენადაც მადლით სავსე ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.
ვინ მოგმართოს შენ და წინ არ დახვდეს
შენი სიმდიდრე, შენი უხვება;
მაგრამ რამდენადც მდიდარ-უხვი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.
მარქვი, რად არის იქ გულთა კვდომა,
სად სიცოცხლეა გახარებული,
და რამდენადც შენ ცხოველ-მყოფელ ხარ,
იმდენად უფრო რად კვდება გული?

პასუხი

— მე სამოთხე ვარ და თქვენ-კი, თქვენ-კი!...
ვაი მე ჩემი ბედ-კრულ, უძლური!...
იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური.
საყვარელი ვარ... ჩემს მზიან-ჩრდილში
სიყვარულს უნდა თვის ტახტი ედგას,
და ვაი იმის სანაცვლოდ თქვენ-კი
ერთმანეთს აურით კრულვას და წყევლას!
მადლით სავსე ვარ და ვაი ჩემს შვილს
მგ მადლი ჩემი ვერ უშველია,
და ან იქ რა ჰქმნას თვით წმინდათ წმინდამ;
სად ცოდვას მადლი დაუძლევია?
მე მდიდარი ვარ და თქვენ-კი, თქვენ-კი..
ლუკმა ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ,
მე ტკბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით
და ვაი თქვენ-კი ძმა-ძმის სისხლსა ჰსვამთ!..
იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელო
უდაბნოდაა ურგებ-ურწყული,
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა
სული მართალი და წრფელი გული.

ამ ლექსით დავაბოლოვოთ დღევანდელი ჩვენი საუბარი.

სტ. ჭრელაშვილი

მერე დასჭერით ეს ლიმონი ნაჭრებად, დააწყეთ ზედ ამ ღრუბელს, დაასხით ცხელი წყალი და ასე დასტოვეთ ერთს დღესა და ღამეს, შემდეგ ღრუბელი ამოიღეთ ჯამიდგან, გაავლეთ კარგად სუფთა წყალში რამდენჯერმე ასე: ჩასდეთ წყალში, ამოიღეთ და გასწურეთ. ამას შემდეგ ღრუბელი ისე გასუფთავდება, როგორც ახალი.

# დეპეშა

1 მარტი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ჰმართავს გამოფენებს შინათ ნაკეთებ ნივთებისას ნიჟნი-ნოვგოროდ...

ვეტიის ქალაქ ტრომსსა და ანტვერპენში.

სატარიფო კომიტეტმა დააწესა ბაქოდამ ბათუმს წასაღებ ნავთისათვის დაკლებული ფასი—ფუთზედ შაური.

ხვნა-თესვის სამინისტროს გადაკეთების პროექტი 7 მარტს იქნება მოსმენილი სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებაზედ.

**მადრიდი.** შესდგა ახალი სამინისტრო საგასტას მეთაურობით.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა საკმაო ხმის უმეტესობით შეიწყნარა 19, 20 და 21 მუხლნი რუსთ-გერმანელთ სავაჭრო ხელ-შეკრულობისა; შემდეგ რეიხსტაგმა დაადგინა ბაჟები იმ საქონლისათვის, რომელიც გერმანიიდამ მიაქვთ რუსეთს და დაამტკიცა ის ნაწილი ოქმისა, რომელიც ტარიფს შეეხება; დანარჩენი კამათობა და ლაპარაკი გადაიდო ხვალამდე.

იმპერატრიცა შვილებითურთ აბაციას წაბრძანდა.

**ბუდა-პეშტი.** რეიხსტაგმა შეიწყნარა კანონ-პროექტი რუსეთთან დროებითის სავაჭრო მორიგებისა; ოპოზიციის თითქმის ყველა წევრმა შავი კენჭი მისცა კანონ-პროექტს.

**პეტერბურგი.** დღევანდელ მეორე სესხის ბილეთების თამაშობაში, უმთავრესნი მოგებანი ხვდა შემდეგს ბილეთებს:

| № სერიისა | № ბილეთისა | რაოდენობა მოგებისა |
|---|---|---|
| 2616 | 49 | 200000 |
| 17623 | 25 | 75000 |
| 14339 | 33 | 40000 |
| 652 | 33 | 25000 |
| 4981 | 12 | 10000 |
| 18707 | 43 | 10000 |
| 14065 | 46 | 10000 |
| 12981 | 48 | 8000 |
| 19583 | 43 | 8000 |
| 3328 | 37 | 8000 |
| 13422 | 49 | 8000 |
| 4065 | 43 | 8000 |
| 55 | 6 | 5000 |
| 6037 | 18 | 5000 |
| 2116 | 50 | 5000 |
| 8284 | 28 | 5000 |
| 10150 | 32 | 5000 |
| 15260 | 50 | 5000 |
| 15191 | 30 | 5000 |
| 15649 | 10 | 5000 |
| 1411 | 40 | 1000 |
| 12625 | 1 | 1000 |
| 15345 | 13 | 1000 |
| 10348 | 45 | 1000 |
| 12254 | 24 | 1000 |
| 12125 | 12 | 1000 |
| 17824 | 44 | 1000 |
| 1549 | 5 | 1000 |
| 5518 | 3 | 1000 |
| 13885 | 45 | 1000 |
| 317 | 25 | 1000 |
| 18112 | 20 | 1000 |
| 10446 | 9 | 1000 |
| 19995 | 23 | 1000 |
| 1734 | 43 | 1000 |
| 12257 | 19 | 1000 |
| 1323 | 31 | 1000 |
| 15308 | 5 | 1000 |
| 14541 | 7 | 1000 |
| 18620 | 50 | 1000 |

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ანდრია მამუკას ძე კობაიძეს, რომელიც, ეს მეორე წელია, თავის ხარჯით უწერს საყმაწვილო ჟურნალს „ჯეჯილს“ ჩემდა რწმუნებულს სტეფან-წმინდის სამრევლო სკოლას.

ამასთანავე ვაუწყებ მკითხველთ, რომ მე განვიზრახე დაარსება სკოლასთან წიგნთ-საცავისა, რადგანაც იგი საჭიროა ხალხისათვის, როგორც თვით სკოლა. წიგნთ-საცავს დიდი მნიშვნელობა აქვნება ხალხის ცნობის მოყვარეობის გაღვიძების მხრივ და აცილებს მომეტებულს ნაწილს,—კვირა-უქმით დუქნებში დროს გატარებას და უანგარიშოდ ფულის ხარჯვას სასმელში. სკოლა და წიგნთ-საცავი ერთად უფრო მეტს შესძენენ ხალხის განათლებისა და წინ-წაწევის საქმეს, ვიდრე მარტო სკოლა. სკოლის მნიშვნელობა უწიგნ-საცავოთ ერთი ორად მცირდება. ეს აზრი ყველასთვის მარტივია და მეტი განმარტება აღარაა საჭირო. იმედია ჩვენი პატივცემული მწერლები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, წიგნების მბეჭდავი ამხანაგობანი და კერძო კაცნი არ დაიშურებენ ამ წიგნთ საცავისთვის მცირეოდენს დახმარებას წიგნებითა და ფულით. ძ შეეწევა იმ ხალხს, რომელშიაც აღიზარდა საქართველოს ნიჭიერი მწერალი ალ. მოხნ სუბარიძე.

სკოლის მასწავლებელი ნ. კახიშვილი
1894 წელსა თებერვლის 20-სა

### II

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ შემდეგს: კიევის ქართველი სტუდენტობა თავისს უგულითადესს მადლობას უცხადებს ბ-ნს გიორგი დეკანოზიშვილს—მთა-მადნის ინჟენერს და ბ-ნს იესე რაჭველს (სტამბოლიდგან) პირველს—22 მან. 60 კ. გამოგზავნისათვის, რომელიც მოუგროვებია დ. უვირილაში ჩვენის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, და მეორეს—28 ცალი სხვა-და სხვა ქართულ წიგნის გამოგზავნისათვის და შეძლებისადაგვარად დახმარების აღმოჩენისათვის შემდეგშიაც.

გწერთ კიევის ქართველ სტუდენტობის მონდობით სტ. პროკოპი ჩხენკელი


# განცხადებანი

**შვედურს მაღაზიაში;** მიხაილოვის ქუჩაზედ, № 99 მივიღეთ ახალი „თესლეულობა“ ბოსტნეულობისა, ყვავილებისა და ბალახეულობისა, აგრეთვე ახალი შვედური ორთქლით მოხარშული შვრიის „ფქვილი და კრუპა“ დიდად მარგებელი საზოგადოდ და განსაკუთრებით ავადმყოფ და გამხდარ ბავშვებისათვის. აქვე მივიღეთ ახალი კუხნა „პრიმუს“ რომელიც უპატრუქოთ აინთება ნავთით. პრეისკურანტები გაეგზავნებათ ყველთ უფასოდ. (10—7)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სალამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

თესლეულობით ვაჭრობა
გ. გ. ლარმესი
მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.
მ ი ვ ი ღ ე
ახალი თესლეულობა
ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—4)

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!
საპონი
პროვიზორი
ა. მ. ოსტროუმოვისა
სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!
საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.
(20—3)

ს ა მ ე უ რ ნ ე ო  გ ა ზ ე თ ი
„ მ ე უ რ ნ ე “
გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთის პროგრამმა:

I მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ.
II სამეურნეო ეკონომია.
III წერილები ხვნა-თესვაზედ, ბაღოსნობაზე, მებოსტნობაზე, მევენახობაზე, საქონლის მოვლა-მოშენებაზე და საზოგადოდ ყოველგვარ სამეურნეო საქმეზე.
IV სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთ-მოძღვრება და მეხანიკა.
V ვეტერინარობა (მეითალობა) და სოფლის ჰიგიენა.
VI მეურნეობის ამბები და კორრესპონდენციები.
VII განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში.
VIII სამეურნეო ბიბლიოგრაფია.
IX სოფლის ნაწარმოების ბაზრები.
X ცნობები თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვ.
XI მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა.
XII ნარკვევი,
XIII კითხვა-პასუხი.
XIV სურათები.
XV გამოსადეგი ადრესები.
XVI განცხადებანი.
XVII დამატებანი, რომელშიაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| ტფილისში წლით 4 მანეთი | ტფილისს გარეთ: წლით 5 მ. |
| ნახევარის წლით 2 მ. 50 კ. | ნახევარის წლით 3 მ. |

ამ ნომრიდან გაზეთში მოღვაწეობენ ახალნი თანამშრომელნი, რომელთა მეოხებით რედაქციას სრული იმედი აქვს, რომ იგი პირნათლად აასრულებს თავისს მოვალეობას-

ვისაც „მეურნის“ გამოწერა სურს, უნდა მიმართოს: ტფილისში „მეურნის“ რედაქციაში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას“; ქუთაისში, რედაქციისა და კანტორის განყოფილებას, ჭყონიას სახლში და წიგნის მაღაზიებს: ძმ. ჭილაძესა, ძმ. წერეთელთა და კ. ბეყანეიშვილისას; დ. ყვირილაში თ. ხუსკივაძეს; ჯიხაიშს დავით ლევანის ძეს ღოღობერიძეს, ოზურგეთს და ახალსენაკში გ. თავართქილაძის სტამბებს და ბათომში პავლე შ. ჭყონიას, დამოყნის მოხელეთა სადგომში.

გაზეთში დასაბეჭდად განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე. თითოჯერ ბწკარის დაბეჭდვა ეღირება პირველ გვერდზე აბაზი და უკანასკნელზედ—ორი შაური.

„მეურნეში“ დასაბეჭდად დანიშნული წერილები უნდა გამოიგზავნოს რედაქციისა ანუ მის ქუთათურ განყოფილების სახელობაზე. წერილები, საჭიროებისდაგვარად, იქნებიან შესწორებულნი ანუ შემოკლებულნი და თუ რომელიმე წერილი რაიმე მიზეზით არ დაიბეჭდება, იმაზე მიწერ მოწერას რედაქცია არა კისრულობს.

რედაქცია იმყოფება ტფილისში: კუკია, რეუტის ქუჩა, სახლი № 10. რედაქციისა და კანტორის განყოფილება ქუთაისში, ჭყონიას სახლში. (5—3)

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა.
დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი ჩვენგან შედგენილის:
ყვავილების ო-დე-კოლონისა,
გლიცერინის საპონისა სახეებით,
გლიცერინის პუდრისა,
ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,
საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს მოგვბაძონ ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეთ, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქციონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.

Бик. Бик. БРОКАРЪ и Ко ВЪ МОСКВѢ. ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.

ბროკარი და კ°.
(8—8)